საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 146

05 10 2015 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 2 ოქტომბრის N03/3936 წერილის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ოქტომბრის სხდომის N16 ოქმის მე-4 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 2 ოქტომბრის N03/3936 წერილის გათვალისწინებით

1. შევიდეს ცვლილება ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საწვავისა და ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N284 განკარგულების პირველ პუნქტში და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს დაემატოს 250 ლიტრი საწვავი და იგი 650 ლიტრის ნაცვლად განისაზღვროს 900 ლიტრით.

2. შევიდეს ცვლილება ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საწვავისა და ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N284 განკარგულების მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტში და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს დაემატოს 150 ლარის სასაუბრო ბარათის ლიმიტი და იგი 200 ლარის ნაცვლად განისაზღვროს 350 ლარით.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს ზაურ ტაბატაძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI